საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი

2020

II კვარტალი

15.09.2020

www.geostat.ge

15.09.2020

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი
(2020 წლის II კვარტალი)

2020 წლის II კვარტალში საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.5 პროცენტით (29.6 ლარით) შემცირდა და 1 150.1 ლარი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 2014-2020 წლებში, კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №1

საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი კვარტალების მიხედვით
(ლარი)



2020 წლის II კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხელფასების შემცირება შეინიშნებოდა სექტორების უმრავლესობაში.

საქმიანობების სახეების მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასი დაფიქსირდა შემდეგ დარგებში:

- საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები – 2 040.9 ლარი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა 14.7 პროცენტით);
- ინფორმაცია და კომუნიკაცია – 1 932.8 ლარი (გაიზარდა 7.0 პროცენტით);
- პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები – 1 786.9 ლარი (შემცირდა 6.0 პროცენტით);
- მშენებლობა – 1 621.4 ლარი (შემცირდა 8.5 პროცენტით);

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საშუალო თვიური ხელფასი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, 2019-2020 წლების II კვარტალში.

დიაგრამა №2

საშუალო თვიური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით
2019-2020 წლების II კვარტალში
(ლარი)



2020 წლის II კვარტალში ქალების საშუალო ხელფასი 924.2 ლარით, ხოლო კაცების - 1 352.4 ლარით განისაზღვრა. ხელფასების წლიურმა ზრდამ ქალებში 10.7 ლარი შეადგინა, ხოლო კაცებში აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა 67.4 ლარით. საქმიანობის სახეების მიხედვით კაცების ხელფასი თითქმის ყველა სექტორში აღემატებოდა ქალების ხელფასს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი სქესის მიხედვით 2014-2020 წლებში.

დიაგრამა №3

საშუალო თვიური ხელფასი სქესის მიხედვით

(ლარი)



2020 წლის II კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი ბიზნეს სექტორში 65.5 ლარით შემცირდა და 1 175.6 ლარი შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით ყველაზე მაღალი ხელფასი პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (2 044.3 ლარი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა 4.4 პროცენტით), ასევე ინფორმაციის და კომუნიკაციის (1 972.6 ლარი, გაიზარდა 9.3 პროცენტით) დარგებში ფიქსირდება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 2014-2020 წლებში, კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №4

ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა
საშუალო თვიური ხელფასი
(ლარი)



2020 წლის II კვარტალში არასამეწარმეო და საფინანსო სექტორში საშუალო თვიური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 34.9 ლარით და 1 108.8 ლარს შეადგენს. საქმიანობის სახეების მიხედვით შედარებით მაღალი საშუალო ხელფასი აქვთ საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების დასაქმებულებს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია არასამეწარმეო და საფინანსო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი, 2014-2020 წლებში, კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №5

არასამეწარმეო და საფინანსო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი

(ლარი)



შენიშვნები

რელიზში გამოყენებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია, რომელიც ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2.

სექციების დასახელებები:

A	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა
B	სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება
C	დამამუშავებელი მრეწველობა
D	ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება
E	წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები
F	მშენებლობა
G	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი
H	ტრანსპორტი და დასაწყობება
I	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები
J	ინფორმაცია და კომუნიკაცია
K	საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები
L	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები
M	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები
N	ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები
O	სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა;სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება
P	განათლება
Q	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები
R	ხელოვნება, გართობა და დასვენება
S	სხვა სახის მომსახურება

საკონტაქტო პირი:
ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge